შეხვედრის ოქმი
22 მარტი, ქუთაისი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ ქუთაისში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია USAID–ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. შეხვედრებს დაესწრო საკრებულოს, მერიის სხვადასხვა სამსახურის, პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვადასხვა მედია საშუალებების წარმომადგენლები. უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობა 40-მდე სტუდენტმა მიიღო.

შეხვედრის ფარგლებში ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა ქეთი ცანავამ და სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლომიძემ შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება უნდა გავრცელდეს ადგილობრივ თვითმმართველობებზეც და აღნიშნულის შესახებ დაიგეგმოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, ვინაიდან მათი მოსაზრებით, საზოგადოების დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას მიმდინარე რეფორმების შესახებ და შესაბამისად, ვერ სარგებლობს რიგი სიკეთეებით. შეხვედრის რამდენიმე მონაწილე ფიქრობს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროს არასამთავრობოებს და მათი დახმარებით მოხდეს ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში. შეხვედრის ნაწილმა გამოხატა უკმაყოფილება ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის დაბალი დონის გამო, თუმცა მათ აღნიშნეს, რომ ეს პრობლემა მოგვარდება მას შემდეგ, რაც საკრებულოს სხდომების და განსახილველი საკითხების შესახებ ინფორმაცია წინასწარ გახდება ცნობილი და მოსახლეობას მიეცემა მეტი სტიმული აქტიურად ჩაერთოს მიმდინარე პროცესებში. დამსწრეთა ნაწილი თვლის, რომ ინტერნეტ დაფარვა ჯერ კიდევ ერთი-ერთი გამოწვევაა საქართველოში და ამ პრობლემის სრულად გადაჭრამდე, უნდა დაინერგოს ე.წ. საინფორმაციო ფურცლები, რომელთა მეშვეობით მარტივი ენით მოსახლეობამდე მივა ყველა ის მნიშვნელოვანი სიახლე, რაც ქვეყანაში აქტუალური და მოსახლეობისთვის საინტერესოა.

- შეხვედრის მონაწილეები მიესალმნენ სამოქმედო გეგმის ფარგლებში იუსტიციის სახლის შემოთავაზებულ ვალდებულებებს ახალი სერვისების დანერგვასა და უკუკავშირის სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. შეხვედრის მონაწილეებმა იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს დაუსვეს კითხვები რამდენიმე სერვისის შესახებ, რომელიც იუსტიციის სახლშია ხელმისაწვდომი. დამსწრეთა ნაწილს სურს, იგივე სივრცეში მიიღოს ნოტარიუსის მომსახურება. შეხვედრის დამსწრეთა გარკვეულმა რაოდენობამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების მიღებაზე დაწესებული საფასური საკმაოდ მაღალია და სასურველია ტარიფები გადაიხედოს.

- შეხვედრის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ჩაერთოს სამოქმედო გეგმაში, როგორც ერთ-ერთი პასუხისმგებელი უწყება საჯარო რესურსების უკეთესი მართვისა და საჯარო მომსახურების გაუმჯობესების გამოწვევის ფარგლებში.

- შეხვედრაზე განხილულ იქნა საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფცია, რომელმაც დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა. მათი სურვილია, ცენტრები აშენდეს კიდევ უფრო მეტ სოფელში და დაფაროს საქართველოს ყველა რეგიონი. შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ მაგალითად მოიყვანა ბალტიისპირეთის ქვეყნების საინფორმაციო ცენტრის ფუნქციების ბიბლიოთეკებთან ინტეგრირების გამოცდილება და აღნიშნა, რომ სასურველია საქართველოშიც მოხდეს ბიბლიოთეკების განვითარება და მისი ფუნქციების გამრავალფეროვნება. მაგალითის საპასუხოდ, შეხვედრის მოდერატორებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს სამოქმედო გეგმის ვალდებულება რეგიონების განვითარების მიზნით საჯარო ბიბლიოთეკების გარდაქმნის შესახებ.

- განხილვის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საჯარო სამსახურის რეფორმას. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალე წესების შემუშავების აუცილებლობას. დამსწრეთა ნაწილი თვლის, რომ არ არის სავალდებულო გასაუბრების ეტაპი, ვინაიდან მათ არ იციან თუ რა კრიტერიუმებით ხდება კონკურსანტთა შეფასება; დამსწრეთა უმრავლესობა ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სასურველია გაიზარდოს სტაჟირების რიცხვი სხვადასხვა უწყებაში, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად და მიიღონ მნიშვნელოვანი გამოცდილება. აღნიშნულ მოსაზრებას განსაკუთრებულ მხარდაჭერას უცხადებენ სტუდენტები.

- შეხვედრაზე განხილულ იქნა მოქალაქის პორტალი და მასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები. საუბარი შედგა ასევე საკანონმდებლო მაცნის შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს მაცნეს კომენტარების მოდული,

თუმცა, აღნიშნეს, რომ სასურველია არსებობდეს კომენტარების ანალიზისა და შესაბამისი უწყებებისთვის წარდგენის სისტემა, რაც მეტ დატვირთვას შესძენს მოქალაქეთა მიერ ამა თუ იმ ნორმაზე მოსაზრების დაფიქსირებას.